სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი **2016 წლის 26 აპრილი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. აბესაძე ნინო 5. გოგინავა უშანგი 6. ხომერიკი რამაზი 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. მაჭავარიანი ლია 9. გეგეჭკორი არნოლდი 10. ხაჩიძე მანანა 11. ბექაური ბექა 12. ბახტურიძე პაატა 13. თუმანიშვილი გიორგი 14. ცისკაძე მარიამი 15. თოდუა ნონა 16. კვირიკაშვილი ბახვა 17. კუპრაძე ირაკლი 18. იმნაძე პაატა 19. მარგველაშვილი ვლადიმერი 20. ოკრიბელაშვილი ნინო 21. წერეთელი მარი 22. შამილიშვილი მანანა 23. საბაური შალვა 24. ჟვანია ირინე 25. ჩახუნაშვილი ნინო 26. ლორია კახაბერი 27. გორდეზიანი ლევანი 28. თაბუაშვილი აპოლონი 29. ბრაჭული ირაკლი 30. ოთხმეზური გიორგი 31. პაიჭაძე თამარი 32. მინდიაშვილი თეონა (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. თვალთვაძე დარეჯანი (რექტორი) 2. ქურდაძე რამაზი 3. ცერცვაძე თენგიზი 4. გალდავა გიორგი 5. სურგულაძე ნუგზარი 6. სამსონია შოთა 7. ომანაძე როლანდი 8. მარშავა ქეთევანი 9. ჭკუასელი ქეთევანი 10. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანა

3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 აპრილის №43/2016 დადგენილების დამტკიცება

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაძლო ცვლილებების განხილვა

5. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო, დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 აპრილის №39/2016 დადგენილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი. მისი განმარტებით, ბიუჯეტის ცვლილება შემოსავლების ნაწილში განპირობებულია 2015 წლის გარდამავალი ნაშთისა (ეკონომიკური შემოსავლები, ეროვნული სამეცნიერო გრანტები, საერთაშორისო გრანტები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება) და შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების დაზუსტებით; ასევე, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების საპილოტე პროგრამის ,,ვისწავლოთ ქართული''; ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიეო -კვლევითი ცენტრის'' განხორციელების მიზნით, ზვიად გამსახურდიას სახელობის პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნის მიზნით თანხების გამოყოფით. 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილება შეეხო ხარჯების ყველა ძირითად მუხლს. რაც გამოწვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტისთვის შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვების ცვლილებებით; პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯებში გაწერით; სარემონტო სამუშაოებისათვის, საოფისე ავეჯის, სატრანსპორტო საშუალებების (მიკროავტობუსი), სადღესასწაულო პრემიის და ფაკულტეტების მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვადასხვა ხარჯებისათვის შესაბამისი თანხის გამოყოფით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნონა თოდუამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ცვლილებები (დანართი 3)

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა მარინე ჩავლეიშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებების პროექტი. მისი განცხადებით, ცვლილებით ფაკულტეტს ორი სამენციერო ერთეული ემატება, ამასთან ეს ყოველივე არ გამოიწვევს რაიმე ფინანსურ დანახარჯს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებები (დანართი 4)

3. ასისტენტ-პროფესორმა, ბატონმა ვლადიმერ ჩხაიძემ წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 აპრილის №43/2016 დადგენილება. მისი თქმით, გეოინფორმაციული სისტემების სწავლება თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. იგი მრავალ დისციპლინაში გამოიყენება, თუმცა საქართველოში სპეციალისტების ნაკლებობაა. ლაბორატორია

აქტიურად ჩაერთვება სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში და სტუდენტებისთვის პრაქტიკული ცოდნის მიცემაზე იქნება ორიენტირებული.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონმა ლია მაჭავარიანმა, ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა და რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 აპრილის №43/2016 დადგენილება (დანართი 5)

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას გააცნო უნივერსიტეტის წესდებაში შესაძლო ცვლილებები. მისი განმარტებით, წარმომადგენლობით საბჭოს მიმართა პროფესორმა დიანა ძიძიგურმა და წამოაყენა წინადადება, აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლობა განისაზღვროს ოთხი წევრით. საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ აკადემიურ საბჭოს შემადგენლობაში შევლენ უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული წარმომადგენლობითი საბჭოც, რომლის ოდენობაც პირველზე ორჯერ მეტი მაინც უნდა იყო.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: დიანა ძიძიგურმა, გიორგი ოთხმეზურმა, ცირა ბარამიძემ, ქეთევან მარშავამ, ბეჟან თუთბერიძემ, გიორგი თუმანიშვილმა, ნუგზარ სურგულაძემ, არნოლდ გეგეჭკორმა, მანანა ხაჩიძემ, შალვა საბაურმა, გია ლობჟანიძემ, ბახვა კვირიკაშვილმა, ირაკლი კუპრაძემ, ნონა თოდუამ, რამაზ ხომერიკმა, ლია მაჭავარიანმა, ლევან გორდეზიანმა, მარიამ ცისკაძემ და დარეჯან თვალთვაძემ.

გამოიკვეთა ორი მოსაზრება, რომელთა მიხედვითაც, აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს უნდა ჰყავდეს 3 ან 4 წარმომადგენელი. ჩატარდა რეიტინგული კენჭისყრა

წარმომადგენლობის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. გაზრდას მხარი დაუჭირა 18-მა წევრმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 8 წევრმა (6-მა კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა).

მეორე კენჭისყრაზე წარმომადგენლობითი საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ აკადემიურ საბჭოში სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლობა განისაზღვროს თითო ინსტიტუტიდან თითო წარმომადგენლით.

მიღებული გადაწყვეტილება: მიეცეს რეკომენდაცია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და წესდების ცვლილებების დროებით სამუშაო ჯგუფს, წესდების ცვლილებების პროექტში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლობა განისაზღვროს 1 წევრით თითოეულ ინსტიტუტზე.

5. სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა გიორგი ღვედაშვილმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო, დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 აპრილის №39/2016 დადგენილება. მისი განმარტებით, დადგენილებით განისაზღვრება აკადემიური პერსონალის დატვირთვა სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა მომსახურების ფარგლებში.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ქეთევან მარშავამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი დადგენილება აკადემიურმა საბჭომ ნაჩქარევად განიხილა და მიიღო. ბევრი რამ, რაც ფაკულტეტების საბჭოებთან შეთანხმდა, დადგენილებაში არ ასახულა. აუცილებელია, დადგენილება თავიდან განიხილოს უკვე ახალმა, გაფართოებულმა აკადემიურმა საბჭომ და შემდეგ წარმოუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად. ამ პოზიციას დაეთანხმნენ აკადემიური საბჭოს წევრები, ბატონები - რამაზ ქურდაძე და ნუგზარ სურგულაძე. საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს, ასევე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ლევან გორდეზიანმა და ელგუჯა მექვაბიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 30

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს ორმა წევრმა.

მიღებული გადაწყვეტილება: 1. არ დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო, დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 აპრილის №39/2016 დადგენილება. 2. დადგენილება დაუბრუნდეს აკადემიურ საბჭოს საკითხის თავიდან განხილვისა და დამუშავებისთვის.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 26 აპრილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგბაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2016 წლის 26 აპრილი

- დარეჯან თვალთვაძე
- ქურდაძე რამაზი
- ცერცვაძე თენგიზი
- გალდავა გიორგი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- სამსონია შოთა
- ომანაძე როლანდი
- სილაგაძე ავთანდილი
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი
- აბაშიძე თამარი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	**ლარი**
● ნაშთი	**19366374**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	10482647
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	4327195
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	1320216
მათ შორის : ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება	3236316
● შემოსავლები	**70743200**
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	48303500
მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	276425
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	11387300
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სახელმწიფო სტიპენდია)	1079500
მათ შორის : სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად.	3082734
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	4346000
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	2267741
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**90109574**
გადასახდელები ნაერთი	**ლარი**
სულ ასიგნება	**89892954**
I ხარჯები	**80807626**
● შრომის ანაზღაურება	**38293160**
● საქონელი და მომსახურება	**34962542**
● სუბსიდიები	**2643575**
● გრანტები	**50000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**120000**
● სხვა ხარჯები	**4738349**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**9005328**
● ვალდებულებების კლება	**80000**
<u>ნაშთი პერიოდის ბოლოს</u>	**216620**

მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	58569527
I ხარჯები	57458527
● შრომის ანაზღაურება	30250460
● საქონელი და მომსახურება	24298347
●გრანტები	50000
●სოციალური უზრუნველყოფა	120000
● სხვა ხარჯები	2739720
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1031000
● ვალდებულებების კლება	80000
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	11387300
I ხარჯები	10238200
● შრომის ანაზღაურება	8042700
● საქონელი და მომსახურება	2163000
● სხვა ხარჯები	32500
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1149100
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	1079500
I ხარჯები	1079500
● სხვა ხარჯები	1079500
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-1.,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (II)	6319050
I ხარჯები	137316
● სუბსიდიები	137316
II არაფინანსური აქტივების ზრდა	6181734
მათ შორის: პრეზიდენტის ფონდის ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	276425
I ხარჯები	276425
● სუბსიდიები	276425
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	8673195

I ხარჯები	8551195
● საქონელი და მომსახურება	8501195
● სხვა ხარჯები	50000
II არაფინანსური აქტივების ზრდა	122000
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	3587957
I ხარჯები	3066463
● სუბსიდიები	2229834
● სხვა ხარჯები	836629
II არაფინანსური აქტივების ზრდა	521494

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

№ 438/29-01 „06" აპრილი 2016 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

წარმოგიდგენთ თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტს (იხ. ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 04 მარტის სხდომის ოქმიდან ამონაწერები - დანართი 4 გვერდი).

წერილს დაერთვის თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ა. კუკულავას დასკვნა (იხ. დანართი 2 გვერდი).

პატივისცემით,

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი თ. ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილიმის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსული
კორესპონდენციის № 13284/02
06 04 2016 33 7
სელმოწერა

უნივერსიტეტის ქ. 2, 0186 თბილისი, საქართველო
2, University Str., 0186 Tbilisi, Georgia
http://www.economics.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 230 00 32, 2 30 45 36 Tel.
ფაქსი: +(995 32) 230 00 32 Fax.
ელ.ფოსტა: economics@tsu.ge; E-mail

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს
ბატონ თეიმურაზ ბერიძეს

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის
არჩილ კუკულავას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო თეიმურაზ,

თქვენი 2016 წლის 25 მარტის N12074/02 კორესპონდენციის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში დაფიქსირებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

არჩილ კუკულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
სავალდებულო N 3702/01 7
01 04 2016

12633/01
31 03 16 7

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

№ 381/29-01 „24" მარტი 2016 წ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს,

ბატონ არჩილ კუკულავას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსული
კორესპონდენცია № 12074/02
„25" 03 2016 წ.
ხელმოწერა

ბატონო არჩილ,

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ 2016 წლის 04 მარტს განიხილა ფაკულტეტის შემადგენლობაში სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების „ტურიზმის კვლევითი ცენტრისა" და „ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის" შექმნის საკითხი (იხ. დანართი).

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭომ ცვლილებები განახორციელა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში, კერძოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალს დაემატა:

1.1. „10. ტურიზმის კვლევითი ცენტრი";
1.2. „11. ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ, იურიდიული დეპარტამენტის დასკვნას, რათა ეს საკითხი შემდგომში განიხილოს თსუ წარმომადგენლობითმა საბჭომ.

წერილს თან ერთვის:

1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი – 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

დეკანი, პროფესორი თ. ბერიძე

უნივერსიტეტის ქ. 2, 0186 თბილისი, საქართველო
2, University Str., 0186 Tbilisi, Georgia
ტელეფონი: +(995 32) 230 00 32, 2 30 45 36 Tel.

დადგენილება №43/2016
14 აპრილი, 2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოინფორმაციული ცენტრის შექმნის საკითხის განხილვისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 14.04.2016, №14188/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია (შემდგომში - ,,გის ლაბორატორია") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს.
2. გის ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. გის ლაბორატორია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. გის ლაბორატორიის მიზანი, ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებები

1. გის ლაბორატორიის მიზანია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, მათ შორის სივრცითი და სტატისტიკური მონაცემების მოძიება, დახარისხება-კლასიფიკაცია, გეომონაცემთა ბაზების შექმნა, გეოინფორმაციული კარტოგრაფირება და თავისი პროფილის შესაბამისად კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და სხვ.
2. გის ლაბორატორიის ამოცანებია:
ა) საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სათანადო სასწავლო-სამეცნიერო მასალებით უზრუნველყოფა;
ბ) გის ლაბორატორიის განკარგულებაში არსებული კარტოგრაფიული, აერო და კოსმოსური სურათების, ორთოფოტოების, სტატისტიკური, გეოინფორმაციული მასალების (ბეჭდვითი თუ ელექტრონული ფაილების სახით) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
გ) შესაბამისი პროფილის მონაცემების მოძიება და ანალიზი;
დ) გის ლაბორატორიაში დაცული მასალების სათანადო წესებით აღრიცხვა, დახარისხება, შენახვა, შესწავლა და დაცვა;
ე) ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობა - გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარება, ერთობლივი პროექტების განხორციელება;
ვ) უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა;
ზ) გრანტების მოპოვება, სამეცნიერო და სხვა სახის პროექტების განხორციელება.
3. გის ლაბორატორიის უფლებამოსილებებია:
ა) განახორციელოს დამხმარე საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა;
ბ) მოაწყოს შეხვედრები, კონფერენციები და სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებები;
გ) მოემსახუროს და შესაბამისი კონსულტაცია გაუწიოს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს.

მუხლი 3. გის ლაბორატორიის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. გის ლაბორატორიის სტრუქტურა მოიცავს გის ლაბორატორიის პერსონალს და გის ლაბორატორიის სამეურვეო საბჭოს.
2. გის ლაბორატორიის საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელი მმართველობითი ორგანო არის გის ლაბორატორიის სამეურვეო საბჭო (შემდგომში - ,,საბჭო“).
3. საბჭო იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
4. საბჭო იქმნება 3 წელიწადში ერთხელ როტაციის პრინციპზე დაყრდნობით და შედგება 8 წევრისგან.
5. საბჭოს წევრობა ანაზღაურებადი არ არის.
6. საბჭოს შემადგენლობა კომპლექტდება შემდეგი წესით:
ა) 3 წევრი შეირჩევა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან და 3 წევრი შეირჩევა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან, ამ ფაკულტეტების წარდგინებით.
ბ) 2 წევრი შეირჩევა სტუდენტთაგან, 1 წევრი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარდგინებით და 1 წევრი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარდგინებით.

მუხლი 4. საბჭოს უფლებამოსილება

ა) განსაზღვრავს გის ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს;
ბ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს გის ლაბორატორიის საქმიანობაში ჩართული სუბიექტების უფლება-მოვალეობების, შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობების შესახებ;
გ) შეიმუშავებს საკონკურსო კრიტერიუმებს გის ლაბორატორიის გამგისა და ლაბორანტის თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევად და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს კონკურსის გამოსაცხადებლად;
დ) მონიტორინგს უწევს გის ლაბორატორიის ამოცანების შესრულებისა და უფლებამოსილების განხორციელების პროცესს;
ე) ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტიან ჩართვას გის ლაბორატორიის საქმიანობაში;
ვ) რეკომენდაციით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამ დებულებით გათვალისწინებული გის ლაბორატორიის უფლებამოსილების შესასრულებლად შტატგარეშე პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე;
ზ) პასუხისმგებელია ამ დებულებით, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელებაზე.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევს საბჭო თავისი შემადგენლობიდან საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ირჩევს საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
2. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა, სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
3. საბჭოს გადაწყეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს, საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. საბჭოს მდივანს ირჩევს საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 6. გის ლაბორატორიის პერსონალი

1. გის ლაბორატორიის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია გის ლაბორატორიის გამგე, ლაბორანტი.
2. გის ლაბორატორიის პერსონალის საშტატო ოდენობა აისახება უნივერსიტეტის საშტატო განრიგში.

მუხლი 7. გის ლაბორატორიის გამგე

1. კონკურსის საფუძველზე შერჩეულ გის ლაბორატორიის გამგეს (დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. გის ლაბორატორიის გამგე:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს გის ლაბორატორიის მუშაობას;
ბ) პასუხისმგებელია გის ლაბორატორიის საქმიანობის განხორციელებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს გის ლაბორატორიის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
დ) ზედამხედველობს გის ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით ლაბორატორიისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
ვ) ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე და არა უგვიანეს ყოველი წლის პირველი კვარტლის დასრულებისა საბჭოს წარუდგენს განვლილი წლის საქმიანობის ანგარიშს;
ზ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. ლაბორატორიის გამგის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს გის ლაბორატორიის ერთ-ერთი თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგის დავალების საფუძველზე.

მუხლი 8. ლაბორატორიის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად გის ლაბორატორია სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 9. გის ლაბორატორიის ფინანსები

გის ლაბორატორიის დაფინანსების წყაროებია:
ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) გრანტების, პროექტების და შემოწირულობების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავალი;
დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად გის ლაბორატორიისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;
ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავალი.

მუხლი 10. გის ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ლაბორატორიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.